შემოქმედებითი და კურატორული სტრატეგიები თანამედროვე ბელარუსში

ეკატერინა კენიგსბერგი

თანამედროვე ხელოვნების კურატორობა, რომლის განვითარება დაიწყო მხოლოდ 1991 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, წარმოადგენს ბელარუსის ხელოვნების სფეროს ყველაზე ახალგაზრდა პროფესიულ დარგს. მე-20 საუკუნის მიწურულს ბელარუსში აქტიურად განვითარდა კურატორული პრაქტიკა, რასაც ხელი შეუწყო გამოხატვის თავისუფლების დამკვიდრებამ და ახალი საგამოფენო სივრცეების გახსნამ (მაგალითად, გალერეები „მარილის საწყობები“ და „პუშკინთან“ ვიტებსკში, „მე-6 ხაზი“, „A.V.“, „ნოვა“, „მ-გალერეა“ და სხვანი მინსკში, „U Maistra“ და „Tizengauz“ გროდნოში და სხვანი), ასევე თანამედროვე ხელოვნების ფესტივალებისა და ღონისძიებების მოწყობამ (მაგალითად, „ინ-ფორმაცია“, „Art-Pragnoz“, „ART-SESSIO“ ვიტებსკში, პერფორმანსის საერთაშორისო ფესტივალი „ნავინკი“ მინსკში და სხვ.). 1990-იან წლებში ინტენსიურად განვითადა საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები. უცხოეთში, ბელარუსი და საერთაშორისო კურატორების ორგანიზებით, გაიმართა ბელარუსის თანამედროვე ხელოვნების პირველი გამოფენები, მათ შორის „მინსკის ფოტოგრაფია“ (1994 წელი), „სიჩუმის ექო“ (1996 წელი), „ბელარტი: ბელარუსის თანამედროვე ხელოვნება“ (1994 წელი), „ბელარუსის ახალი ხელოვნება“ (2000 წელი) და ა.შ.

ხელოვნების ისტორიკოსი მიხაილ ბარაზნა უნდა ჩაითვალოს პირველ ოფიციალურ კურატორად ბელარუსში, რადგან სწორედ მასთან, როგორც უფროს კურატორთან, გააფორმა ხელშეკრულება 1994 წელს თანამედროვე ხელოვნების პირველმა კერძო გალერეამ - „პუშკინთან“ (ვიტებსკი). მხატვარი ვასილი ვასილიევი გახლდათ გალერეა „მარილის საწყობების“ კურატორი, ხელოვნებათმცოდნე ლარისა ფინკელსტაინი იმავე როლს ასრულებდა გალერეაში „ბრამა“, მხატვარი ვლადიმირ პარფიანოკი - სახვითი ხელოვნების გალერეაში „ნოვა“, ხოლო ხელოვნების ისტორიკოსი ინა რეუტი - გალერეაში „A.V.“. 1990-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, ცნებამ „კურატორი“ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ბელარუსის თანამედროვე ხელოვნებაში. მე-20 საუკუნის ბოლოდან ბელარუსში გამოიყენება კურატორული საქმიანობის ახალი სტრატეგიები: თანამედროვე ხელოვნების ინტერვენცია და სამხატვრო და კურატორული პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია.

ვლინდება მხატვრის, როგორც საკუთარი პროექტის კურატორის, ფუნქცია, რომელიც ტიპურია ბელარუსის ხელოვნების სფეროსთვის და დამახასიათებელია კონცეპტუალური ორიენტაციის იმ ავტორებისთვის, რომლებიც იყენებენ ისეთ კურატორულ მიდგომებს, როგორებიცაა პროექტის იდეის შემუშავება, თეორიული დასაბუთება და თავიანთ სამხატვრო პრაქტიკაში განხორციელებული პროექტისთვის ნამუშევრების სპეციალურად შექმნა თუ შერჩევა. ხსენებულთა რიცხვში შედის, მაგალითად, სერგეი ვოიჩენკოს და ვლადიმირ ცესლერის კონცეპტუალური „საუკუნის პროექტი: 12 მე-20-დან“ (1999 წელი), იგორ სავჩენკოს „სერგეევის ცდუნებანი“ (2001-2002 წლები), ვიქტორ პეტროვის „ძველი სახლის მწვანე კედელი 2“ (2014 წელი), იგორ კაშკურევიჩის „ესე ხატავდა ზარატუსტრა“ (2018 წელი), ვლადიმირ პარფენოკის „MEMENTO“ (2006 წელი), ალექსანდრ ბოლდაკოვის და ივან რუსაჩეკის „Oculis elementaris“ (2014 წელი), ოლგა საზიკინას „ისტორიები ყოველდღიური ცხოვრებიდან“ (2006 წელი), ასევე როზალინა ბუსელის პროექტები: „აბჯარი“ (2015 წელი), „პროცესი“ (2016 წელი), „იზოლაცია“ (2019 წელი) და სხვ.

მხატვარი იგორ კაშკურევიჩი ისწრაფვის ფილოსოფიური გააზრებისა და მითების შექმნისკენ, სურს რა მის გარშემო სამყაროს მრავალფეროვნების შემეცნება, მისი საზღვრების შემოფარგვლა და საკუთარი გმირების ქცევის თავადვე განხორციელება.

იგორ კაშკურევიჩი არის ანდერგრაუნდის ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბელარუსში პერფორმანსის ერთ-ერთი ნოვატორი, რომლის შემოქმედება მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა გრაფიკა და ფერწერა, სკულპტურა, ინსტალაცია და პერფორმანსი. დაიბადა ხელოვანთა ოჯახში. მისი მამა იყო ცნობილი ბელარუსი გრაფიკოსი მხატვარი არლენ კაშკურევიჩი (1929–2013). არლენის შვილები: ტოდარი და იგორი და ამ უკანასკნელის ქალიშვილი აგნეშკა, ასევე მხატვრები გახდნენ. 1982 წელს, იგორ კაშკურევიჩმა დაამთავრა ბელარუსის თეატრისა და ხელოვნების ინსტიტუტი (ამჟამინდელი ბელარუსის ხელოვნების სახელმწიფო აკადემია). 1978 წლიდან იგი მონაწილეობს გამოფენებში. 1984 წელს ხდება არაფორმალური ხელოვნების ასოციაციის Pluralis თანადამფუძნებელი, 1994 წელს კი მინსკში აარსებს თანამედროვე ხელოვნების დამოუკიდებელ გალერეას „მე-6 ხაზი“. 1998–2018 წლებში ცხოვრობს ბერლინში, სადაც ქმნის სკულპტურებს ყინულის ლოდებისგან, ასწავლის, მონაწილეობს გამოფენებში და აწყობს პერფორმანსებს. 2018 წელს იგორ კაშკურევიჩი ბრუნდება მინსკში, სადაც, გამოფენების გარდა, იწყებს რეგულარულ ღია კარის დღეებს კაშკურევიჩების ხელოვანთა დინასტიის სტუდიაში.

1988 წელს ნარვაში ჩატარდა ანდერგრაუნდის ხელოვნების საკავშირო ფესტივალი „ხელოვნების დღესასწაული: ნარვა-88“, ასევე ჰეფენინგი „ორმაგი ჰორიზონტი“ – იგორ კაშკურევიჩის და მხატვარ ნიკო ცეცხლაძის ერთობლივი აქცია ფინეთის ყურის სანაპიროზე. აქციის ატრიბუტები: სანაპიროს მომიჯნავე ტყის პირას მდგარი სამღეროიანი არყის ხე, ნიკო ცეცხლაძის მიერ სანაპიროზე ნაპოვნი ჯოხი, წინა დღეს იგორ კაშკურევიჩის მიერ შექმნილი შავთეთრი კვერთხი და თეთრი ქსოვილი ჰარმონიულად ერწყმება მკაცრ ესტონურ პეიზაჟს. მხატვრები ერთმანეთს ზურგით, ხოლო გვერდით – ხის ერთ-ერთ ღეროს ეყრდნობიან; ასისტენტი კი მათ და ხეს თეთრ ქსოვილში ახვევს, რითაც ქმნის სკულპტურულ ჯგუფს. ჯოხი და კვერთხი 3 ღეროს შორისაა მოთავსებული. სიჩუმეში ისმის ფოთლების შრიალი, ტალღების ხმები და მხატვართა სუნთქვა.

შემდეგ ჯგუფს ხსნიან თეთრ საფარველს და მისი მონაწილეები იშლებიან. მხატვრები იღებენ ჯოხსა და კვერთხს და სხვადასხვა გზით მიემართებიან ზღვისკენ. პირთან მისული ფიგურა კვერთხით ხელში (იგორ კაშკურევიჩი) მარჯვნივ იღებს გეზს მეორე ფიგურისკენ (ნიკო ცეცხლაძე), რომელსაც ჯოხი აქვს მომარჯვებული. შეხვედრისას ფიგურები ამყარებენ ფიზიკურ კონტაქტს, უზიარებენ რა ერთმანეთს თავიანთ სითბოს და შემდეგ ისევ ზურგით ეყრდნობიან ერთმანეთს. ხელი მომარჯვებული კვერთხით ქვიშაზე ხაზავს სამკუთხედს, რომლის გვერდებიც ერთმანეთს არ ეხება. იმპულსს აყოლილი ფიგურა ქმნის ქვიშის საათის სიმბოლოს და თავად იქცევა ერთ-ერთი სამკუთხედის ცენტრად – უძრავ წერტილად, რომელშიც თავმოყრილია ზურგით შეხების დროს მიღებული სითბო. სამკუთხედიდან გამოსული ფიგურა, თითქოს მუდარის ნიშნად, ტოვებს წერტილის ანაბეჭდს.

მეორე სამკუთხედში, ხელი მომარჯვებული ჯოხით ხაზავს ჰორიზონტის პარალელურ ხაზს, რომელიც სამკუთხედის საზღვრებს სცდება. მხატვარი ამ ჯოხს აღიქვამს, როგორც სახიფათო ბასრ იარაღს. კვერთხი აგრძელებს ხაზის გავლებას, რომელიც იქცევა წრედ მხატვრის ფიგურის გარშემო. წყვეტილი მოძრაობით ჯოხიანი ხელი ხაზავს წრეს კვერთხიანი ფიგურის ფეხებთან. დაძაბული პაუზის შემდეგ კვერთხიანი ფიგურა გამოდის წრიდან და ათავსებს კვერთხს ქვიშის საათის სიმბოლო-სამკუთხედის მარცხენა კუთხეში. ჯოხიანი ფიგურა, რომელიც ზღვისკენ სახით დგას, ჯოხიან ხელს რამდენჯერმე სწევს მაღლა, შემდეგ ქვიშაში არჭობს ჯოხს. ზღვაში შესვლის შემდეგ ფიგურა ჩერდება და შორს იყურება. მეორე ფიგურა კვერთხით სამკუთხედის კუთხიდან ტყის მიმართულებით ავლებს დიაგონალურ ხაზს და ჩერდება ტრაქტორის მიერ აყრილი მიწის ზოლის კიდესთან. შემდეგ ხელებს დაბლა უშვებს, ტრიალდება ზღვისკენ და შორს იყურება.

საღამოს ყოვლისმომცველ სიჩუმეში ორი ვერტიკალური ადამიანის ფიგურა და მათ მიერ შექმნილი სამკუთხედის და წრის გეომეტრიული ფორმები ჩერდებიან ნაპირისა და ზღვის, ზღვისა და ჰორიზონტის, უძრაობის ფიზიკურ მდგომარეობის და ზღვისა და ჰაერის მასების მუდმივი მოძრაობის გასაყარზე, რითაც აგვირგვინებენ სამყაროს დუალიზმის მეტაფიზიკურ შესწავლას. გაცნობიერებული და მხატვრების მიერ შთაგონებული აზრები და მოქმედებები, ასევე მათი კონტროლის მიღმა არსებული ბუნებრივი მოვლენები, უზრუნველყოფენ ამ აქციის რიტუალურ ხასიათს.

1988 წელი, ვიტებსკი. შემოქმედებითი ასოციაცია „კვადრატი“ ორ სივრცეში ახორციელებს პროექტს „კაზიმირ მალევიჩის 110 წელი“ და მონაწილეობისთვის იწვევს ჯგუფს „Pluralism“ მინსკიდან და ექსპერიმენტული სახვითი ხელოვნების ასოციაციას ლენინგრადიდან. გამოფენა შედგება 2 ნაწილისგან: მხატვართა გაერთიანების საგამოფენო დარბაზში ტარდება გამოფენა „ექსპერიმენტი“, რომელშიც წარმოდგენილია შემოქმედებითი ასოციაცია „კვადრატის“ წევრთა ნამუშევრები და დოკუმენტური მასალა მხატვართა ჯგუფის UNOVIS შესახებ. კინოთეატრი „სპარტაკი“ კი ეთმობა ჯგუფს „Pluralism“ და ექსპერიმენტული სახვითი ხელოვნების ასოციაციას[1].

იგორ კაშკურევიჩის და ლუდმილა რუსოვას პერფორმანსი „კაზიმირის აღდგინება“ იწყება რიტუალურ სამოსელში (წითელი, შავი და ნაცრისფერი მანტია, თეთრი კაპიუშონი) გამოწყობილი მონაწილეების სვლით ქალაქის ქუჩებში, რომელიც გრძელდება კინოთეატრ „სპარტაკის“ ფოიეში.

პერფორმანსი აგებულია წაგრძელებული თეთრი სუპრემატისტული ფიგურის გარშემო, რომლის ბოლო ჯვარში ამოკვეთილი კვადრატის ფორმისაა, რაც სიმბოლურად განასახიერებს მალევიჩის კუბოს. ფიგურის ზედა ჰორიზონტალურ სიბრტყეზე ვხედავთ ორ წითელ გეომეტრიულ ფიგურას: წრეწირი ზედა ნაწილში და კვადრატი ქვედა ნაწილში. წითელი კვადრატიდან კედლის ბოლომდე ჩამოშვებულია თეთრი ქაღალდის ზონარი წარწერით SUPREMUS, ასევე მის ქვეშ განთავსებული 2 თეთრი ქაღალდის ფურცელი, რომლებზეც გამოსახულია 2 კვადრატი და 1 წრეწირი. მათ მოპირდაპირე მხარეს მეორე კედელზე ვხედავთ თუნუქის 2 კვადრატს და დისკს, რომლებიც 1 მხრიდან თეთრად არის შეღებილი.

წითელ მანტიაში გამოწყობილი 2 ფიგურა შავ და თეთრ ჯოხებს ურტყამენ თუნუქის სუპრემატისტულ კვადრატ-დოლს. პაუზის შემდეგ ფიგურა შავში მასიურ კომბალს ურტყამს თუნუქის დისკზე. მოქმედების 4 მონაწილე ნაცრისფერ მანტიებში უახლოვდება კუბოს, რასაც მოჰყვება დარტყმა დისკზე. შემდეგ ნაცრისფერში გამოწყობილი ფიგურები თავს ხდიან კუბოს და გვერდზე გადიან სახურავთან ერთად. კუბოში ვხედავთ ქალის უძრავ ფიგურას შავებში (ლუდმილა რუსოვა). დისკზე გამოყვანილი დარტყმების რიტმში ფიგურა ნელა დგება კუბოში. მას უახლოვდებიან ქალები თეთრში: 2 მათგანი მოსავს ფიგურას სუპრემატისტული ოლარით, ხოლო მესამე თავზე ახურავს შავ კაპიუშონს, რითაც სრულდება მისი გარდაქმნა კაზიმირად. კაზიმირი გადმოდის კუბოდან, ტრიალდება სახით სუპრემატისტული დოლისკენ და დგება თეთრ ქაღალდზე დანთხეულ შავ საღებავზე. დოლზე გამოყვანილი დარტყმების რიტმში კაზიმირი ტოვებს ფეხის შავ კვალს და წრეს უვლის დარბაზს, რა დროსაც თანმიმდევრობით ხსნის საკულტო სუპრემატისტული წითელი, შავი და თეთრი ბატიკის 8 მილს, რომლებიც შავი თასმებითაა დამაგრებული ჭერზე და ეშვება ადამიანის სიმაღლეზე. კაზიმირი ურტყამს დისკზე და უახლოვდება თეთრი ქაღალდის ფურცელს კედელზე, რომელზეც გამოსახულია ორი კვადრატი და წრეწირი. პირველი კვადრატ-დოლის მჭექარე ხმის თანხლებით კაზიმირი შავ გუაშს უსვამს პირველ კვადრატს, ხოლო პირველი და მეორე დოლის ხმაზე - მეორე კვადრატს, ასევე ორივე დოლის და დისკის ხმაზე - წრეწირს. შემდეგ ისადგურებს სიჩუმე. ქალები თეთრში ნელ-ნელა ხდიან კაზიმირს რიტუალურ სუპრემატისტულ სამოსელს და კიდებენ მას წარწერის SUPREMUS მარჯვნივ მდებარე საკიდზე.

პაუზის შემდეგ ისმის ხმამაღალი შეძახილები: „SUPREMUS“. პერფორმანსის დასასრულს მოასწავებს სუპრემატისტულ კვადრატ-დოლზე ბრაგუნი.

იგორ კაშკურევიჩის მიერ შენახული ტექსტუალურ დოკუმენტაციაში მოცემულია ამ პერფორმანსის მონაწილეთა სია: ლუდმილა რუსოვა, ირინა საბანოვა, ალიონა ბიტკოლოვა, სვეტლანა კომაროვა, სერგეი კოვალსკი, ალექსეი ჟდანოვი, გრიგორი ივანოვი, კონსტანტინ გორეცკი, ირინა რიჟკოვა, ელენა ჟდანენია, ბორის ვასილიევი, იგორ კაშკურევიჩი, ვიქტორ შილკო, ალექსანდრ მალეი, ვალერი შჩასტნი და ალექსანდრ დოსუჟევი.

2014 წელს ჩატარებულ ინტერვიუში იგორ კაშკურევიჩმა ისაუბრა ამ პერფორმანსის იდეის წარმოშობის შესახებ: „...პერესტროიკა დაწყებული იყო. ჩვენ სანქტ-პეტერბურგში ჩავედით, სადაც გაიხსნა მალევიჩის დასავლური კოლექციების გამოფენა... შემდეგ მოგვინდა ჩვენი საკუთარი აქცია-დუბლიკა-

1 Aleksandr Malei. The Vitebsk “Kvadrat. P. 89–94.

ტის ჩატარება. არა, შურისძიება არ გვამოძრავებდა, უბრალოდ გვინდოდა სხვადასხვა მხატვრის მოწვევა (სუპრემატიზმის ტრადიციებთან კავშირი აუცილებელ პირობას არ წარმოადგენდა) და მოგვესინჯა, ვისთან შეგვეძლო თავის გაიგივება. მალევიჩის მოწაფეებად თავის გასაღება მიზანს არ წარმოადგენდა. მე, უბრალოდ, მინდოდა მისი სიკვდილის და აღდგომის გათამაშებით პროვოკაციის მოწყობა. ჩვენი ინტერესი მალეჩივის ფიგურის მიმართ არ იყო განპირობებული მხოლოდ მისი ქარიზმატულობით. ბედის ირონიით, ყველაფერი, რაც მას გადახდა თავს, ზუსტად ჯდებოდა ჩვენ მიერვე შექმნილ სისტემაში...“[2].

პერფორმანსი ჩატარდა 1988 წლის 4 ნოემბერს ვიტებსკში და ხელახლა დაიდგა 1989 წელს მინსკში და 1990 წელს - მოსკოვში, რა შემთხვევებშიც იგი თეორიულად გამართლებული და კარგად გააზრებული იყო. თეორიული გამართლება ეყრდნობოდა 7 დეკლარაციას, 3 პუნქტს და დასკვნას. დეკლარაციებში გაჟღერებული იყო მოწოდება სამყაროს შემეცნებისკენ სუპრემატიზმის გამოცდილების გზით, ასევე გაცხადებული იყო სუპრემატიზმი, როგორც ბუნების უნივერსალური ენა, და აზროვნების ახალი ერის დასაწყისი. ადამიანმა უნდა იაზროვნოს სუპრემატისტულად და გაამთელოს სამყარო რიტუალური მოქმედებებით, რომლებშიც თავმოყრილია სიმბოლიკა, ხმა და ჟესტიკულაცია. სუპრემატისტული სტუდია გამოცხადდა სამყაროს აბსტრაგირებულ სახედ. შემოქმედების ფორმებიდან რიტუალზე კომპლექსური გადასვლის სისტემა გამოცხადდა მსოფლმხედველობის და მოქმედების ერთ ჰარმონიულ არსებაში სინთეზირების შესაძლებლობად. 3 პუნქტში ახსნილი იყო პერფორმანსის ობიექტის არჩევანი: სუპრემატისტული კუბო, როგორც მალევიჩის ერთგვარი ანდერძი; ასევე გაცხადებული იყო მალევიჩის შემოქმედების განსაკუთრებული ადგილი. დასკვნაში კი მალევიჩი გამოცხადებული იყო სუპრემატისტული ოპტიმიზმის აღმდგარ სიმბოლოდ.

30 წლის შემდეგ, 2018 წელს, მინსკში ბელარუსის ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის გალერეა „აკადემიაში“ წარმოდგენილი იყო იგორ კაშკურევიჩის გამოფენა-მისტერია „ესე ხატავდა ზარატუსტრა“. მხატვარმა, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოდან ბერლინში ცხოვრობდა და ბელარუსში მხოლოდ 2017 წლის ბოლოს დაბრუნდა, წარადგინა დიდი ფორმატის შავ-თეთრი და ფერადი ნამუშევრები. 1999-2000 წლებში ქაღალდზე აკრილის საღებავით დახატული ნამუშევრები, რომლებიც მანამდე ბელარუსში არასდროს გამოფენილა, შეიქმნა ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური რომანის „ესე იტყოდა ზარატუსტრა: წიგნი ყველასთვის და არავისთვის“ გავლენით. სერიის შემოქმედებითი იდეა ეყრდნობოდა მხატვრის 2 მიზანს: „ესე წერდა წარმოსახვითი ზარატუსტრას იერით შენიღბული ფრიდრიხ ნიცშე“ და „ესე შევქმენი მე, იგორ კაშკურევიჩმა, ამ ნახატების სერია ზარატუსტრა-მხატვრის სახით“. ნამუშევრები არ წარმოადგენს ტექსტის პირდაპირ ილუსტრაციებს; ისინი უნდა აღვიქვათ, როგორც წაკითხულის ინტერპრეტაცია, როგორც რომანის ავტორთან პარალელური შეხმიანება.

ამ ექსპრესიულ და მისტიკურ, მოულოდნელ და ემოციურ, პოეტურ და ფილოსოფიურ ნამუშევრებს დამთვალიერებელი შეჰყავს მისტიკურ სივრცეში, მისტერიაში, სადაც, ავტორის თანახმად, „მხოლოდ ხანგრძლივი 100 წლის შემდეგ დაბრუნდა ზარატუსტრა, უვნებელი და საღ-სალამათი, მაგრამ არა როგორც პოეტი, არამედ როგორც მხატვარი“. იგორ კაშკურევიჩმა სამშობლოში მოაზროვნეებს წარუდგინა მუდმივი დაბრუნების იდეა.

გახსნაზე წარმოდგენილი ავტორის პერფორმანსი „ფრიდრიხ ნიცშეს ულვაშები“ ერთგვარი ხიდია უახლესი ისტორიის მოვლენებსა და დღევანდელობას შორის.

მითის შესაქმნელად გმირის შერჩევისას იგორ კაშკურევიჩი საკუთარ თავს უსმენს. სხვაგვარად არც კი შეიძლება, რადგან თავად მხატვარი უნდა იყოს დაინტერესებული, უნდა იყოს გარკვეული მითითება, რომ შესაძლებელია მნიშვნელობათა ბორბლის დატრიალება, რომელიც მოძრაობს ჩაფიქრებული აქციის შემდგარი/შეუმდგარი ფენომენის და ირონიული რეინკარნაციის რიტუალიზაციის სპირალის გაყოლებაზე.

ამჟამინდელი კურატორული პრაქტიკა ბელარუსში ეყრდნობა თანამედროვე ხელოვნების უნივერსალური სივრცის კონტექსტების შესწავლას. კურატორული საქმიანობა წარმოადგენს შემეცნების გზას,

2 Zavadskaya. A Life-long Performance.

რომელიც იძლევა ინფორმაციის განახლების, ახალი შინაარსის შექმნის, კითხვების დასმის, კურატორული და მხატვრული პრაქტიკის გადააზრების და ცოდნის გადაცემის საშუალებას. კურატორული პრაქტიკა აერთიანებს ფორმებს და შინაარსს, ქმნის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან კულტურულ პროდუქტს და აახლებს ცოდნის შექმნას. ხელოვნების ფართო სფეროში კურატორები ქმნიან გამოცდილების და გაცნობიერების ახალ ფორმებს და ხელს უწყობენ ვიზუალურ და გონებრივ აქტიურობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Irina Zavadskaya. A Life-long Performance: Belarus Segodnya (Belarus Today) [Electronic resource] – Mode of access: https://www.sb.by/articles/performans-dlinoyu-v-zhizn.html – Date of access: 28.11.2014.
- Aleksandr Malei. The Vitebsk “Kvadrat” and non-conformism as the genesis of modern post-Soviet culture. Iskusstvo i kultura (Art and Culture), 2014, № 2. P. 89–94.